



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 88

24/11/2017

იმედა რობაქიძის თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 37-ე მუხლის პირველი ნაწილისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებით დამტკიცებული „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 102-ე მუხლის შესაბამისად საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. არჩეულ იქნას საკრებულოს წევრი იმედა რობაქიძე იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ.

მუხლი 2. განკარგულება გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას შემდგომი რეაგირებისათვის.

მუხლი 3. განკარგულება გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო